



მილან კუნდერა
უკვდავება

მილან კუნდერა
შკვდავება

Milan Kundera
L'IMMORTALITÉ

ფრანგულიდან თარგმნა პაატა ჯავახიშვილმა

გარეკანზე: მორის უტრილოს „ტერტრის მოედანი“ (ფრაგმენტი)

© 1990, Milan Kundera

All adaptations of the Work for film, theatre, television and radio are strictly prohibited.

All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2017

აკრძალულია რომანის გამოყენება ფილმის, სპექტაკლის, ტელევიზიისა და რადიოსათვის.

ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-557-8

[www.diogene.ge](http://www.dioгене.ge)

სარჩევი

I ნაწილი	
სახმ	7
II ნაწილი	
უკვლავება	33
III ნაწილი	
ბრძოლა	97
IV ნაწილი	
HOMO SENTIMENTALIS	203
V ნაწილი	
უმთხვევითობა	235
VI ნაწილი	
ციფერბლატი	286
VII ნაწილი	
აღნიშვნა	347

პირველი ნაწილი

სახე

I

ქალი სამოცი-სამოცდახუთი წლისა იქნებოდა. ერთ-ერთი თანამედროვე შენობის ბოლო სართულზე, ტანმოვარჯიშეთა კლუბის აუზის წინ, შეზღონგზე ვინეჩი და ვუყურებდი. უზარმაზარი შემინული ფანჯრებიდან პარიზი ისე მოჩანდა, როგორც ხელისგულზე. პროფესორ ავენარიუსს ველოდებოდი. დროდადრო ვხვდები ხოლმე აქ ათას რამეზე სასაუბროდ. მაგრამ პროფესორი ავენარიუსი არა და არ ჩანდა და მეც ქალს გავყურებდი. მართო იყო აუზში, წელამდე წყალში იდგა და თვალს არ აცილებდა ახალგაზრდა, შილიფად ჩაცმულ მასწავლებელს, რომელიც თავზე დასდგომოდა და ცურვის გაკვეთილს უტარებდა. ქალი მის ბრძანებებს უსმენდა და, ღრმად რომ ჩაესუნთქა და ამოესუნთქა, ხელებით აუზის კიდეც ეყრდნობოდა. ამას სრული სერიოზულობით, ბეჯითად აკეთებდა და თან ისე, გეგონებოდა, წყლის სიღრმიდან ძველისძველი ორთქლმავლის ხმა ამოდისო (ამ დავიწყებული იდილიური ხმის შესახებ მხოლოდ ასე თუ შევუქმნი წარმოდგენას მას, ვინც ამას არ მოსწრებია – აუზის კიდესთან ასაკოვანი ქალის ჩასუნთქვა-ამოსუნთქვას შევადარებ). მონუსხულივით ვუყურებდი. მისი მტანჯველი კომიკურობის ტყვეობაში ვიყავი (ამ კომიკურობას ცურვის მასწავლებელიც ამჩნევდა, რადგან მეჩვენებოდა, რომ ტურჩების კუთხეები წამდაუნუმ უთრთოდა), მაგრამ ამ დროს ვილაცამ მომმართა და ყურადღება გადამიტანა. ცოტა ხნის

შემდეგ, როცა დაკვირვების გაგრძელება მოვინდომე, გაკვეთილი დამთავრებული დამხვდა. საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი ქალი აუზის კიდეს მიუყვებოდა და, როდესაც ცურვის მასწავლებელს ოთხი-ხუთი მეტრით გასცდა, მისკენ შეტრიალდა, გაუღიმა და ხელი დაუქნია. გული შემეკუმშა. ეს ღიმილი და ჟესტი ოცი წლის გოგოსი იყო. ხელი აღმაფრთოვანებელი სიმსუბუქით აიქნია, თითქოს საყვარელს ათასფერი ბურთი გადაუგდო. ღიმილი და ჟესტი ხიბლით იყო სავსე, სახესა და სხეულში კი ეს ხიბლი აღარ ჩანდა. ჟესტის ხიბლი სხეულის უხიბლობაში ჩამხრჩვალყო. ქალს კი, გინდაც სცოდნოდა, რომ ლამაზი აღარ იყო – ამნამს ეს აშკარად დავინყებულები ჰქონდა. ჩვენ, ყველანი, რომელიღაც ჩვენსავე ნაწილში, დროის მიღმა ვცხოვრობთ. ასაკს მხოლოდ განსაკუთრებულ მომენტებში თუ აღვიქვამთ, დროის უმეტეს ნაწილში კი უსასკონი ვართ. ყოველ შემთხვევაში, იმ დროს, როცა შემოტრიალდა და ხელი დაუქნია ცურვის მასწავლებელს (რომელმაც თავი ველარ შეიკავა და სიცილი წასკდა), თავისი ასაკისა არა გავგებოდა რა. ამ ჟესტის წყალობით, მთელი მისი ხიბლი, რომელიც დროს არად დაგიდევდათ, წამის მეასედში გამოკრთა და თვალი მომჭრა. ამან უცნაურად ამაღელვა. გონებაში სიტყვა ანიესი ამომიტივიტივდა. ანიესი. არასდროს მცნობია ქალი, სახელად ანიესი.

2

ტკბილ ძილ-ბურანში ჩაძირული, ლოგინში ვწევარ. ექვს საათზე, პირველი შეღვიძებისთანავე, სასთუმალთან მდგარი პატარა ტრანზისტორისკენ ვიშვერ ხელს და ღილაკს ვანწვები. დილის ახალი ამბები მესმის, სიტყვებს ძლივს ვარჩევ. ხელახლა ჩამთვლემს. ფრაზები, რომელთაც ყურს ვუგდებ, ზმანებებში ირევა. ეს ძილის საუკეთესო ფაზაა, დღის ყველაზე ტკბილი მომენტი: რადიოს წყალობით, გემოს ვატან გამუდმებულ ჩათვლელა-შეღვიძებას, ამ საოცარ რწევას ძილსა და ღვიძილს შორის, ერთადერთ მოძრაო-

ბას, რომელიც გაჩენის დღეს არ მანანებინებს. მესიზმრება თუ მართლა ოპერაში ვარ, ორი მსახიობის წინ, რაინდების სამოსელში გამოწყობილები, ამინდის შესახებ რომ მღერიან? როგორ მოხდა, რომ სიყვარულზე არ მღერიან? მერე ვხვდები, რომ წამყვანები არიან და სალაზღანდაროდ ერთმანეთს გამუდმებით აწყვეტინებენ სიტყვას. „დღე იქნება ცხელი, ხვატიანი და იქროლებს ძლიერი ქარი“, – ამბობს პირველი და მეორეც მაშინვე აწყვეტინებს გაპრანჭულად: „შეუძლებელია!“ პირველი კი იმავე ტონით პასუხობს: „კი, კი, ბერნარ. ვნუხვარ, მაგრამ სხვა არჩევანი არ გვაქვს. ცოტა გამხნევდი!“ ბერნარი ხარხარებს და აცხადებს: „აი, სასჯელი ჩვენი ცოდვებისათვის“. პირველი კი: „კი მაგრამ, ბერნარ, მე რატომ უნდა ვიტანჯო შენი ცოდვებისთვის?“ ამაზე ბერნარი მთელი ძალით იცინის, რათა მიანიშნოს მსმენელს, რომელ ცოდვაზეა ლაპარაკი, და მე ვხვდები: გულის სიღრმეში ყველას ერთი რამ გვსურს: რომ მთელ მსოფლიოს დიდად ცოდვილები ვეგონოთ! რომ ჩვენი მანკიერებები კოკიპისრულ წვიმებს, ქარებსა და ქარიშხლებს შეადარონ! რომ დღეს, როცა თითოეული ფრანგი ქუჩაში გასვლისას ქოლგას გაშლის, ბერნარის ორაზროვანი სიცილი გაახსენდეს და მისი შეშურდეს. გადამრთველს ვატრიალებ და ვიმედოვნებ, რომ უფრო მოულოდნელი სურათ-ხატების თანხლებით ჩამეძინება. მეზობელ რადიოსადგურზე ქალის ხმა აცხადებს, დღე ცხელი, ხვატიანი და ქარიანი იქნებაო, და მიხარია, რომ საფრანგეთში ამდენი რადიოსადგური გვაქვს და რომ ყველა ერთსა და იმავეს გვიყვება. ერთგვაროვნებისა და თავისუფლების იღბლიანი შერწყმა – რა შეიძლება ინატროს კაცობრიობამ ამაზე უკეთესი? ვუბრუნდები რადიოსადგურს, რომელზეც ბერნარს თავისი ცოდვები გამოჰქონდა სააშკარაოზე, მაგრამ მის ნაცვლად ვილაც მამაკაცის ხმა „რენოს“ ბოლო მოდელს უმღერის ჰიმნს. განვაგრძობ გადამრთველის ტრიალს და ქალების გუნდი ფასდაკლებულ ქურქებს ასხამს ხოტბას. ბერნარს ვუბრუნდები, „რენოს“ ჰიმნის უკანასკნელ ტაქტებს ვუსწრებ და სიტყვას ისევ ბერნარი იღებს. იმწამს დასრულებულ მელიოდის იმეორებს და სიმღერ-სიმღერით გვანწყუებს, ახლახან

ჰემინგუეის ბიოგრაფია გამოქვეყნდა, რიგით ასოცდამეშვიდე, მაგრამ ამჯერად მართლა ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან იგი გვიჩვენებს, რომ ჰემინგუეის ცხოვრებაში ერთხელაც კი არ უთქვამს მართალი სიტყვაო. ომში მიღებული ჭრილობების რიცხვიც გაბუჟა და თავი ქალების დიდ მუსუსადაც მოგვაჩვენა, მაშინ როცა დამტკიცებულია, რომ 1944 წლის აგვისტოში, მერე კი 1959 წლიდან მოყოლებული, სრულიად ცვედანი იყო. „შეუძლებელია“, – გაისმა მეორე წამყვანის სიცილიანი ხმა და ბერნარმა – „არადა, ასე იყო“, – ტყლარჭვით მიუგო. და აი, ისევ ოპერის სცენაზე ვდგავართ, თვით ცვედანი ჰემინგუეიც ჩვენთანაა და ძალიან ბოხი ხმა ახსენებს ერთ პროცესს, რომელმაც ბოლო კვირებში მთელი საფრანგეთი ააღელვა: გაუტკივარებით ჩატარებული ოპერაციის დროს ცუდად გაკეთებულმა ანესთეზიამ ავადმყოფი ქალის სიკვდილი გამოიწვია. ამის გამო ორგანიზაცია, რომელსაც „მომხმარებელთა“ – ასე მოგვიხსენიებს ყველას – დაცვა ევალება, გვთავაზობს, მომავალში ყველა ქირურგიული ჩარევა ფირზე აღვბეჭდოთ და მერე ეს ფირები არქივებში შევინახოთ. ამ ორგანიზაციის რწმუნებით, ეს ერთადერთი გარანტია იქნებოდა ნესტრის ქვეშ გარდაცვლილი ნებისმიერი ფრანგისათვის, რომ მის გამო შურს მკაცრად იძიებდა მართლმსაჯულება. ისევ ვიძინებ.

როცა გამეღვიძა, ცხრის ნახევარი ხდებოდა. ანიესი წარმოვიდგინე. ჩემსავით დიდ სანოლზე წევს. სანოლის მარჯვენა ნახევარი ცარიელია. ვინ არის ქმარი? ვინმე ისეთი, ვინც შაბათობით დილაადრიან გადის სახლიდან. ამიტომაც არის მარტო და ამიტომაც ქანაობს ასეთი ნეტარებით ღვიძილსა და სიზმარეთს შორის.

შემდეგ დგება. წინ, მაღალ სადგარზე ტელევიზორი წამომართულა. ქალი ღამის პერანგს მოისვრის, რომელიც ეკრანს თეთრი ნაჭერივით გადაეფარება. ანიესს, ჩემი რომანის გმირს, პირველად ვხედავ შიშველს. სანოლთან დგას, ლამაზია და თვალს ვერ ვაშორებ. ბოლოს, თითქოს ჩემი მზერა იგრძნო, გვერდით ოთახში გადის და იცვამს.

ვინ არის ანიესი?

როგორც ევა გაჩნდა ადამის ნეკნიდან, როგორც ვენერა იშვა ქაფიდან, ისე გაჩნდა ანიესი სამოცი წლის ქალის ერთი მოძრაობიდან; ქალისა, რომელიც აუზის პირას დავინახე – როგორ უქნევდა ხელს ცურვის მასწავლებელს. მისი ნაკვთები უკვე მედღაბნება მეხსიერებაში. მაშინ ამ შესტმა ჩემში უზარმაზარი, გაუგებარი ნოსტალგია გააღვიძა და ამ ნოსტალგიამ შვა პერსონაჟი, რომელსაც ანიესი დავარქვი.

მაგრამ განა ადამიანი, მით უფრო რომანის პერსონაჟი, არ განისაზღვრება, როგორც ერთადერთი და განუმეორებელი არსება? როგორ შეიძლება, ერთი ადამიანის შესტი – შესტი, რომელიც ქალის მთლიანობას ქმნიდა, მას ახასიათებდა და განსაკუთრებულ ხიბლს სძენდა, ამავე დროს მეორე ადამიანისა და მის შესახებ მთელი ჩემი სიზმრების არსი იყოს? აი, რა გვიბიძგებს დაფიქრებისაკენ:

თუ ჩვენმა პლანეტამ დაახლოებით ოთხმოცი მილიარდი ადამიანი ატარა თავის ზურგზე, თითოეულ მათგანს ალბათ ვერ ექნებოდა შესტების საკუთარი რეპერტუარი. არითმეტიკულად წარმოუდგენელია. სრულიად ეჭვგარეშეა, რომ სამყაროში შეუდარებლად ნაკლები შესტია, ვიდრე ინდივიდი. ამას კი შოკისმომგვრელ დასკვნამდე მივყავართ: ნებისმიერი შესტი უფრო ინდივიდუალურია, ვიდრე თავად ინდივიდი. ანდაზასავით ვიტყვი: *ხალხი რაც უფრო მეტია, შესტები მით ნაკლებია.*

პირველ თავში ვთქვი, ნამის მეასედში მთელი მისი ხიბლი, რომელიც დროს არად დაგიდევდათ, უცებ გამოკრთა და თვალი მომჭრა-მეთქი. დიახ, სწორედ ასე ვფიქრობდი მაშინ, მაგრამ შევცდი. შესტს არ გამოუვლენია ქალის არსი, უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა, რომ ქალმა დამანახა თავისი ხიბლი ერთი მოძრაობით. რადგან შესტს ვერც რომელიმე ინდივიდის საკუთრებად მივიჩნევთ და ვერც მის ქმნილებად (ვერაჟინ შექმნის შესტს სუფთა, სრულიად ორიგინალური სახით, თან ისე, რომ ეს შესტი მხოლოდ მას ეკუთვნოდეს), ვერც მის ინსტრუმენტად. პირიქითაც კი შეიძლება ითქვას: შესტები გვიყენებენ ჩვენ, ჩვენ ვართ მათი ინსტრუმენტები, მარიონეტები, ინკარნაციები.

ანიესს ჩაცმა დაემთავრებინა და გასასვლელად ემზადებოდა. შემოსასვლელში შეჩერდა და წამით რალაცას მიუგდო ყური. გვერდით ოთახიდან გამომავალი ხმა ცხადყოფდა, რომ მისი ქალიშვილი სანოლიდან დგებოდა. თითქოს მასთან შეხვედრას გაერიდაო, ნაბიჯს აუჩქარა და ბინა სწრაფად დატოვა. ლიფტში პირველი სართულის ლილაკს დააჭირა თითი. დაძვრის ნაცვლად ლიფტმა, კაცს რომ ძაგძაგი აუვარდებდა, ისე დაიწყო კრუნჩხვიანივით ადგილზე ხტომა. პირველი შემთხვევა არ გახლდათ, ამ მოწყობილობის ასეთ გუნება-განწყობილებას რომ შეესწრო ქალი. ხან ზევით ადიოდა, როცა ქალს ქვევით ჩასვლა სურდა, ხან კი უარს ამბობდა კარის გაღებაზე და მას ტყვედ იტოვებდა ნახევარი საათით. თითქოს საუბრის გაბმა უნდოდა, თითქოს სურდა, რალაც სასწრაფო ეცნობებინა მუნჯი ცხოველის მწირი საშუალებებით. კონსიერჟს რამდენჯერმე შესჩივლა, მაგრამ იმან, რაკი ლიფტი სხვა მობინადრეებს კარგად ექცეოდა, ანიესისა და ლიფტის დავა უბრალო პირადულ საქმედ მიიჩნია. ამიტომ ამისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. ანიესი იძულებული გახდა, გამოსულიყო და ფეხით ჩასულიყო ქვევით. გამოვიდა თუ არა, ლიფტიც დამშვიდდა და ქვევით დაეშვა.

შაბათი ყველაზე დამლელი დღე იყო. პოლი, მისი ქმარი, ვიდრე შვიდი საათი შესრულდებოდა, გადიოდა და ერთ-ერთ მეგობართან ერთად საუზმობდა, ქალი კი თავისუფალ დღეს იმ აუარებელი მოვალეობის შესრულებას უთმობდა, რომლებიც ბევრად უფრო უმძიმდა, ვიდრე ოფისის სამუშაო: ფოსტაში მისვლა, ნახევარ საათს რიგში დგომა, სუპერმარკეტში რალაცების ყიდვა, გამყიდველთან ჩხუბი, დროის დაკარგვა სალაროსთან, სანტექნიკოსთან დარეკვა, ხვენწა, რომ დროზე მოსულიყო და მის ლოდინში მთელი დღე არ დაეკარგა. ორ საჩქარო საქმეს შორის ყოველთვის ცდილობდა, საუნისთვისაც გამოენახა დრო, სადაც მთელი კვირის განმავლობაში ვერ ახერხებდა მისვლას. ნაშუადღევის ბოლოს მტვერსასრუტსა და ჩვარს უთმობდა, რადგან დამლაგებელი ქალი, რომელიც პარასკევობით დადიოდა, სულ უფრო და უფრო უყურადღებოდ ასრულებდა სამუშაოს.

თუმცა ეს შაბათი სხვებისგან გამოირჩეოდა: ხუთი წლის თავი იყო მამამისის გარდაცვალებიდან. ერთი სცენა ამოუტივტივდა გონებაში: სკამზე ჩამომჯდარი მამამისი ძირს დაყრილი, ნაფლეთებად ქცეული ფოტოების გროვას დასჩერებია, ანიესის და კი – რატომ ხევ დედიკოს ფოტოებსო, – უყვირის. ანიესი მამას იცავს და უეცარი სიძულვილით განმსჭვალული დები ერთმანეთს წაეჩხუბებიან. გამოდის და სახლის წინ დაყენებულ მანქანაში ჯდება.

3

ლიფტმა თანამედროვე შენობის ბოლო სართულზე აიყვანა, სადაც კლუბი იყო მოწყობილი სავარჯიშო დარბაზით, აუზით, ბუფ-ბუფანელიანი პატარა საჭყუმპალაოთი, საუნითა და პარიზის ხედით. გასახდელში დინამიკებიდან როკმუსიკა იღვრებოდა. ათი წლის წინ, როცა ანიესი ჩაენერა, კლუბის წევრები ცოტანი იყვნენ და ატმოსფეროც მშვიდი გახლდათ. მერე, წლიდან წლამდე, კლუბი სულ უფრო და უფრო უმჯობესდებოდა: სულ უფრო მეტი მინა, სინათლე, ხელოვნური მცენარე, დინამიკი, მუსიკა და მუდმივი სტუმარი იყო, რომელთა რიცხვიც ერთბაშად გაორმაგდა იმ დღეს, როდესაც მათი გამოსახულება დირექციის მიერ სავარჯიშო დარბაზის ყველა კედელზე ჩამოკიდებულ ვეებერთელა სარკეებში აირეკლა.

ანიესმა პატარა კარადა გამოალო და გახდა დაიწყო. შორიახლოს ორი ქალი ერთმანეთს ესაუბრებოდა. ერთ-ერთი, ტკბილი და ნაზი კონტრალტოთი, ქმარზე წუნუნებდა, ყველაფერი ხელიდან უვარდებოდა: წიგნები, წინდები, ჩიბუხი და ასანთიც კიო. მეორეს კი სობრანო ჰქონდა და ორჯერ უფრო სწრაფად ლაპარაკობდა, ფრანგული მანერით, ოქტავით ზევით ისე სწევდა ყოველი ფრაზის ბოლო ნაწილს, რომ ქათმის აღშფოთებულ კრიახს მოგაგონებდათ:

– აი, ახლა კი იმედებს მიცრუებ! საგონებელში მაგდებ. შეუძლებელია! ვერ იზამს მაგას! შეუძლებელია! შენ შენს სახლში ხარ! და შენი უფლებები გაქვს!

პირველი, თითქოს ორ ცეცხლს – მეგობარ ქალსა და ქმარს – შუა აღმოჩნდაო (მეგობარი ქალის სიძლიერეს აღიარებდა, ქმარი კი უყვარდა), სევდიანი ხმით უხსნიდა:

– რა გინდა, რომ ქნა. მისი ბრალთა ყველაფერი. ყოველთვის ასე იყო. ყოველთვის ყველაფერი უვარდებოდა ხელიდან.

– ჰოდა, მორჩეს! შენყვიტოს! შენ შენს სახლში ხარ! შენი უფლებები გაქვს! მე ერთი წამითაც ვერ ავიტანდი ასეთ რამეს!

ანიესი არ მონაწილეობდა ამგვარ საუბრებში. არასდროს ლანძღავდა პოლს, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა: ეს სხვა ქალების კეთილგანწყობას აკარგვინებდა. თავი წვრილხმიანისკენ მიაბრუნა – ქერათმიანი, ანგელოზის სახიანი გოგო აღმოჩნდა.

– არა, არა, არც იფიქრო! შენ შენი უფლებები გაქვს! არ დააჩაგვრინო თავი! – განაგრძობდა ანგელოზი და ანიესმა შენიშნა, რომ ამ სიტყვებს თავის მოკლე გაქნევა-გამოქნევა ახლდა თან, მარჯვნიდან მარცხნივ, მარცხნიდან მარჯვნივ; მხრები და წარბები კი ზევით ეწეოდა – აღშფოთებისა და გაკვირვების გამოხატვა უნდოდა იმის გამო, რომ მისი მეგობრის უფლებები ასე ითვლებოდა ფეხქვეშ. ანიესი კარგად იცნობდა ამ ყესტს: მისი ქალიშვილი ბრიჟიტი ზუსტად ამგვარად აქნევდა ხოლმე თავს.

გახიზადა თუ არა, კარადა გასაღებით ჩაკეტა, კარი შეაღო და ფილებიან დარბაზში შევიდა, სადაც ერთ მხარეს საშხაპეები იყო, მეორე მხარეს კი – საუნის შუშის კარი. იქ, ხის სკამებზე ქალები გვერდიგვერდ ჩამომსხდარიყვნენ. ზოგიერთს საგანგებო პოლიეთილენის სახვევი ეკეთა, რომელიც სხეულის (ან მისი რომელიმე ნაწილის, უმთავრესად, მუცლისა და უკანალის) გარშემო ერთგვარ ჰერმეტიულ სივრცეს ქმნიდა და ამით ძლიერ ოფლდენასა და გახდომის იმედის ჩასახვას უწყობდა ხელს.

ანიესი ყველაზე ზევით, ჯერ კიდევ თავისუფალ სკამებთან ავიდა. კედელს მიეყუდა და თვალები დახუჭა. მუსიკა იქამდე ვერ აღწევდა, მაგრამ ერთდროულად მოლაპარაკე ქალების ხმა მეტად მკაფიოდ ისმოდა. უცნობი ახალგაზრდა ქალი შემოვიდა, რომელიც ზღურბლიდანვე შეუდგა დანარჩენებისთვის ჭკუის სწავლებას: ისე-

დაც მჭიდრო მწკრივი კიდევ უფრო შეამჭიდროვა, რომ გათბობასთან ადგილი გაეთავისუფლებინა, მერე დაიხარა, ვედრო აიღო და ლუმელს გადაასხა. მწველი ორთქლი შიშინით ავარდა ქერისკენ და ანიესის გვერდზე მჯდომმა ქალმა ხელები აიფარა ტკივილსგან დაღმეჭილ სახეზე. უცნობმა ქალმა განაცხადა:

– მიყვარს, ორთქლი რომ წვავს, მაშინ გრძნობ ადამიანი, საუნაში რომ ხარ, – ორ შიშველ სხეულს შორის ჩაეკვება და ლაპარაკი დაიწყო წინა საღამოს სატელევიზიო გადაცემაზე, სადაც ცნობილი ბიოლოგი მონაწილეობდა, რომელსაც ცოტა ხნით ადრე მემუარები გამოექვეყნებინა. – არაჩვეულებრივი ადამიანია, – თქვა ბოლოს.

სხვა ქალმა კვერი დაუკრა:

– რა თქმა უნდა! და როგორი მორიდებული!

– მორიდებული? – განაგრძო ქალმა. – ვერ დაინახეთ, როგორი ქედმაღალი კაცია? მაგრამ მე მისი ქედმაღლობა მომწონს! ვგიჟდები ქედმაღალ ხალხზე! – და ანიესისკენ შებრუნდა: – თქვენც მორიდებული ხომ არ გეჩვენათ?

ანიესმა – არ მინახავს ეგ გადაცემაო, – უპასუხა. თითქოს მის პასუხში ერთგვარი იდუმალი უთანხმოება შეინიშნაო, უცნობმა თვალი თვალში გაუყარა და მტკიცე ხმით გაიმეორა:

– ვერ ვიტან მორიდებულ ხალხს! თვალთმაქცები არიან!

ანიესმა მხრები აიჩეჩა, უცნობმა კი განაგრძო:

– საუნაში უნდა ცხელოდეს. მინდა, წურწურით გამდიოდეს ოფლი. მაგრამ მერე ცივი შხაპია საჭირო. ვგიჟდები ცივ შხაპზე. არ მესმის იმათი, საუნის მერე ცხელ შხაპს რომ იღებენ. ვერ ვიტან ცხელ შხაპს.

მალევე შეეხუთა სული, იმდენად, რომ კიდევ ერთხელ გაიმეორა თუ არა, გული მერევა მორიდებულობაზეო, წამოხტა და გაუჩინარდა.

ერთხელ, ბავშვობაში, სეირნობისას, ანიესმა მამას ჰკითხა, ღმერთის გნამს თუ არაო. შემოქმედის კომპიუტერისა მწამსო, ასე უპასუხა მამამ. პასუხი იმდენად უცნაური აღმოჩნდა, რომ ბავშვს დაახსომდა. მხოლოდ კომპიუტერი კი არა, სიტყვა შემოქმედიც

ასევე ეუცნაურა. მამამისი არასდროს ლაპარაკობდა ღმერთზე, ყოველთვის შემოქმედს ახსენებდა, თითქოს უნდოდა, ღმერთის მნიშვნელობა მისი საინჟინრო უნარ-ჩვევებით შემოეფარგლა. შემოქმედის კომპიუტერიო. კი მაგრამ, როგორ უნდა დაემყარებინა ურთიერთობა ადამიანს რალაც მონყობილობასთან? თუ გილოციაო? – ჰკითხა მამას. იგივეა, ედისონზე ილოცო, როცა ნათურა გადაინვენბაო, – უპასუხა მან.

და ანიესიც ფიქრობს: შემოქმედმა თავის კომპიუტერში დისკეტა ჩადო დეტალური პროგრამით და წავიდა. არა, ახალი არ გახლავთ აზრი, რომ ღმერთმა ჯერ სამყარო შექმნა და მერე ის თავისგანვე მიტოვებულ ადამიანებს მიუგდო ალაღბედზე, ადამიანები კი, მას რომ მიმართავენ, ყრუ სიცარიელეს აწყდებიან. თუმცა წინაპრების ღმერთმა რომ მიგატოვოს, ერთია და კოსმიური კომპიუტერის გამომგონებელმა ღვთაებამ – მეორე. რჩება პროგრამა, რომელიც მის არყოფნაში უღმობლად განაგრძობს მუშაობას და თან ისე, რომ ვერაფერს მოუხერხებ. კომპიუტერის დაპროგრამება არ ნიშნავს, რომ მომავალი დეტალურად იქნება დაგეგმილი, არც იმას, რომ „იქ, ზევით“ ყველაფერი წინასწარ წერია. მაგალითად, პროგრამა არ ითვალისწინებდა, რომ 1815 წელს ვატერლოოს ბრძოლა გაიმართებოდა, არც იმას, რომ ფრანგები მას წააგებდნენ. ის, უბრალოდ, ითვალისწინებდა, რომ ადამიანი ბუნებით აგრესიულია, რომ ომი მისი არსის თანამდევია რამაა და რომ ტექნიკური პროგრესი ომს სულ უფრო და უფრო სახიფათოს გახდის. შემოქმედის თვალსაზრისით, დანარჩენი ყველაფერი უმნიშვნელოა, უბრალო ვარიაციები და გადაკეთებ-გადმოკეთებებია ძირითად პროგრამაში, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მომავლის წინასწარმეტყველურ ვერსიასთან. ის, უბრალოდ, შესაძლებლობათა ფარგლებს განსაზღვრავს და ამ ფარგლებს შორის შემთხვევითობას უტოვებს ასპარეზს.

ადამიანი პროექტია, რომელზეც იგივე შეიძლება ითქვას. არავითარი ანიესი, არავითარი პოლი არ დაგეგმილა კომპიუტერში, მხოლოდ მათი პროტოტიპი: ადამიანი, თვალუნვდენელი მწკრი-

ვი ეგზემპლარებისა, რომლებიც პრიმიტიული მოდელის მარტივი ნაირსახეობებია და არავითარი საკუთარი ინდივიდუალური არსი არ აქვთ, ყოველ შემთხვევაში, იმაზე მეტი არა, რაც „რენოს“ ქარხნიდან გამოსულ რომელიმე მანქანას. მანქანის ონტოლოგიური არსი ამავე მანქანის მიღმა, მისი კონსტრუქტორის არქივებში უნდა ვეძებოთ. მხოლოდ სერიული ნომერი თუ განასხვავებს ერთ მანქანას მეორისაგან. ადამიანისთვის ეს ნომერი მისი სახეა, ნაკვთების შემთხვევითი და განუმეორებელი ერთიანობა. არც ხასიათი, არც სული, არც ის, რასაც *მეს* უწოდებენ – არ იჩენს თავს ამ ერთობლიობაში. სახე ამა თუ იმ ეგზემპლარის ნომერია და მეტი არაფერი.

ანიესს ის უცნობი ქალი გაახსენდა, რომელიც ხმამაღლა აცხადებდა, ცხელი შხაპი მძულსო. მოვიდა, რათა ყველა იქ მყოფი ქალისთვის ეცნობებინა: 1) რომ უყვარდა ოფლის მოდენა, 2) რომ გიჟდებოდა ქედმაღლებზე, 3) რომ ვერ იტანდა მორიდებულებს, 4) რომ ჭკუა ეკეტებოდა ცივ შხაპზე, 5) რომ ეზიზღებოდა ცხელი შხაპი. ხუთი შტრიხით დახატა ავტოპორტრეტი, ხუთი პუნქტით განსაზღვრა საკუთარი მე და ყველას შესთავაზა ის. და ეს გააკეთა არა მორიდებულად (ხომ თქვა, მეზიზღებიან მორიდებულებიო), არამედ მებრძოლთა ყაიდაზე. მძაფრ ზმნებს იყენებდა – ვგიჟდებიო, მეზიზღებაო, მძულსო, თითქოს აცხადებდა, კბილებით დავიცავ ჩემი პორტრეტის ხუთივე შტრიხს და ჩემივე განსაზღვრების ხუთივე პუნქტსო.

საიდან ასეთი ვნებაო, ჰკითხა საკუთარ თავს ანიესმა და ფიქრი განაგრძო: როგორც კი ამ სამყაროში გამოგვგზავნიან, თვითიდენტიფიკაცია უნდა მოვახდინოთ გაგორებულ კამათელთან, ღვთიური კომპიუტერის მიერ მოწყობილ შემთხვევითობასთან: აღარ უნდა გვიკვირდეს, რომ სწორეს *ეს* (რასაც სარკეში ყურებისას ვხედავთ) არის ჩვენი მე. რომ არა მტკიცე აზრი, რომ ჩვენი სახე ჩვენს მეს გამოხატავს, რომ არა ეს პირველი და ფუნდამენტური ილუზია, ვერ გავაგრძელებდით ცხოვრებას, ან, ყოველ შემთხვევაში, სერიოზულად ვერ აღვიქვამდით მას. და არც ეს იყო

საკმარისი ჩვენი თვითიდენტიფიკაციისათვის, ჩვენ *მგზნებარე*, სამკვდრო-სასიცოცხლო თვითიდენტიფიკაცია გვჭირდებოდა – მხოლოდ ამ პირობით გამოვჩნდებოდით ჩვენივე თვალში არა ადამიანის პროტოტიპის უბრალო სახეცვლილებებად, არამედ საკუთარი, შეუცვლელი შინაარსით აღჭურვილ არსებებად. აი, რატომ იგრძნო უცნობმა ახალგაზრდა ქალმა არა მხოლოდ საკუთარი პორტრეტის დახატვის საჭიროება, არამედ იმისი ჩვენების აუცილებლობაც, რომ ეს პორტრეტი სრულიად განუმეორებელ და შეუცვლელ რაღაცას შეიცავდა, რისთვისაც ღირდა ბრძოლა და თვით სიცოცხლის გაღებაც კი.

როდესაც საორთქლავის სიცხეში თხუთმეტი წუთი გაატარა, ანიესი წამოდგა და ყინულივით ცივი წყლით სავსე აუზში ჩავიდა. შემდეგ მოსასვენებელი ოთახისკენ გაემართა და სხვა ქალებს შორის წამოწვა, რომლებიც ასევე არ აჩერებდნენ ენას.

ერთმა შეკითხვამ გაუელვა თავში: ნეტა სიკვდილის მერე როგორი ყოფა დაეპროგრამებინათ?

ორი რამ შეიძლება იყოს. თუ შემოქმედის კომპიუტერს სამოქმედო ველად მხოლოდ ჩვენი პლანეტა აქვს და თუ მასზე და მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, მაშინ სიკვდილის მერე იმის ვარიანტს შეიძლება ველოდეთ, რაც სიცოცხლეში გვაქვს ნანახი – მსგავს პეიზაჟებს და მსგავს ქმნილებებს. მარტონი ვიქნებით თუ გარშემო ხალხი გვეყოლება? ეჰ, მარტოობა ნაკლებად სავარაუდოა, სიცოცხლეშივე იშვიათია და აბა, სიკვდილის მერე ვინლა მოგასვენებს. მკვდარი ხომ ბევრად მეტია, ვიდრე ცოცხალი. საუკეთესო ჰიპოთეზით, სიკვდილის შემდეგ არსებობა იმას დაემსგავსება, რასაც ანიესი განიცდის ახლა მოსასვენებელ დარბაზში: ყოველი მხრიდან ქალების უწყვეტ ლაქლაქს გაიგონებს. მარადიულობა, როგორც უსასრულო ლაქლაქი. გულახდილად ითქვას, უარესის წარმოდგენაც შეიძლებოდა, მაგრამ თავად აზრი, რომ ამ ქალების ხმები უნდა ესმოდეს, ყოველთვის, განუწყვეტლივ და სამუდამოდ, საკმარისი საფუძველია ანიესისთვის, ღონივრად ჩაებლაუჭოს სიცოცხლეს და შეძლებისდაგვარად შორს გადადოს სიკვდილი.